

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის მიერ მხოლოდ მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ღირებულება: მთელი წლისა — 8 მან., ნახევარ წლისა — 5 მან., სამის თვის — 3 მან., ერთის თვისა — 1 მან.


ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ზასი განსჯადებისა: დღე ასობით ასობით — 1 კაპ., ასობით — 1 კაპ., სტრატონზე — 1 კაპ., რედაქციის ცენტროთი — 1 კაპ., პარათი — 1 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბუთო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.



ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელი წლისა მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дроება“.

გაზეთის ღირსი

- მთელი წლისა — — 8 მან.
- მესამის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი თებერვლიდან წლის დამთავრებამდე 7 მან.

შული გაზეთის დაბრუნებისათვის უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 9 თებერვალს. ბრძოლი ლორის-მელიქოვი ტელეგრაფით იწერება ცარიცინიდან, რომ პატრახნის გუბერნიისაში ჭირით ავთმყოფები სრულიად არავენ არისო. უცხო ქვეყნის ექიმები მისულან ცარიცინში.

ზაზეთს „ბოლოსს“ მოუყიდა სოფ. პრიშობიდან დეპეშა: „სოფ. პრიშობში კარანტინი მოსპეს, რადგან საეჭვო ავთმყოფები აღარ არიან. ოკლოვ-დენისოვმა მოულოცა ხალხს მშვიდობა; ხალხი აღტაცდა შიბა.“

ცარიცინი, 8 თებერვალს. დღეს სოფ. სტარიცკში მოსპეს კარანტინი.

პეტერბურლი, 10 თებერვალს. დღეს გარდაიცვალა აქ გრაფი ბრიგორი სტროგონოვი.

ბუხარესტი, 8 თებერვალს. რუმინის ჯარები გავიდნენ დღეს არაბ-თაბიდან. რუმინის მთავრობამ აცნობა მეროპის სახელმწიფოებს, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზე ხელი აქვთ მოწერილი, რომ იმან საჭიროთ დაინახა არაბ-თაბის მიტოვება იმ დრომდინ, სანამ ეს სახელმწიფოები ამ საგანზედ ახალ გადაწყვეტილებას არ დაადგენენ.

ნიუ-იორკი, 9 თებერვალს. ტაშკენ-

ტიდამ მოვიდა ტელეგრაფმა, რომ პელანის ელჩები სამარკანდიდამ ტაშკენტიში წამოვიდნენო. ლენ. ძაუჭმანს ბრძანება აქვსო, რომ პელანის მიერის ყოველგვარ წინადადებაზე უარი უთხრას.

პარიში, 9 თებერვალს. ნაციონალურმა პრეზამ 340 ხმის უმეტესობით 99 ხმის წინააღმდეგ მიიღო მთავრობისაგან წარდგენილი პროექტი ამნისტიის თაობაზედ.

პეტერბურლი, 11 თებერვალს. 9 თებერვალს დაუწყიათ რუსის ჯარებს აღრიანოპოლიდამ უკან დაწევა. რუსებისაგან მიტოვებულ ალაგებს ოსმალის ჯარები იტყვენ.

ხარკოვი, 10 თებერვალს. ბუშინ, ღამის 11 საათზე, როდესაც ხარკოვის ლებერნატორი თავადი პრაპოტკინი საქალაქო ინსტიტუტის ბალიდამ დაბრუნდა, ქუჩაზე ვიღამაც დაჭრა ის რევოლვერით. ქიმიები ამბობენ, რომ ავთმყოფი ძნელათ მოჩივებო. გამოძიება არის დანიშნული; დამნაშავეს ეძებენ.

საქართველო

ორიოდე სიტყვა უფ. ბ. თუმანიშვილს

„ერთის მერცხლის ჭიკჭიკი ზუხულს ვერ შიკვანს.“
მართული ანდაზა.

უფ. ბ. თუმანიშვილმა თავის სტატიაში: „მხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“ (იხ. აღმანახი, 1879 წ.), როგორც იყო მოხსენებული ამას წინადადებაში „დროებაში“, გამოსტევა ის აზრი, რომ ჩვენმა მწერლობამ ამ სამი-ოთხიოდე წლის განმავლობაში იცვალა თავის მიმართულება და ხასიათი. ათი-თხუთმეტის წლის წინედ ჩვენი მწერლობა იყო ახალ აზრების მქადაგებელი და საზოგადოებისთვის საუკეთესო გზის მაჩვენებელიო. ამ უკანასკნელ სამი-ოთხის წლის განმავლობაში კი ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა მიტოვესო ეს კეთილ-შობილური როლი და გადაიქცენო მხოლოდ სხვა-და-სხვა ამბების უფრცხვანოთა.

ის აზრი სწორედ ქეშმარიტია და მის წინააღმდეგ ბეჭდს არ ვიტყვი, მაგრამ ამ გვარე ცელილება ჩვენის მწერლობისა, ჩემის შეხედულებით, სამუდამო არ არის, არამედ იყო დროებითი, როგორც დროებითი იყო თვით მიზეზი,

რომელსაც ეს ცელილება გამოიწვია. ეს მიზეზი იყო წარსული ომი. სამმა წელწადმა გაიარა, რაც სლოვენების პატარა ხალხებმა დაიწყეს ოსმალეთთან ომი თავის განთავისუფლებისათვის. ამ ომს მოჰყვა, როგორც მიუცილებელი მისი შედეგი, უფრო დიდი და საშიშრო ომი ოსმალეთის და რუსეთის შორის.

ჩვენს საზოგადოებას არ შეეძლო, ადვილად გასაგებ მიზეზების გამო, არ ელევნა ეულ-მოდგინედ თვალ-ყური ამ შემთხვევისათვის. ამ ომს შეეძლო შეეცვალა არა მარტო ოსმალეთის კარტა, არამედ მეროპის უმეტესის ნაწილისაც. ამასთანავე ვინ იცოდა, რა მოელოდა ჩვენს მდგომარეობას და ბედს ამ ომისაგან? ამიტომაც ჩვენი საზოგადოება მოუთმენელად თხოულობდა ომის ყოველ ამბებს და სრული მისი ყურადღება ამბებდ იყო მიქცეული.

ნუთუ ეს მოთხოვნილება ჩვენის საზოგადოებისა არ იყო კანონიერი და მწერლობას არ უნდა დაეკმაყოფილებინა იგი? მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, როგორც საზოგადოების მხრით გულ-გრილობა გაუგებარი და სამწუხარო რამ მოელოდა იქნებოდა, ისე მწერლობის მხრით საზოგადოების მოთხოვნილების დაუკმაყოფილება და უცხო აზრების ქადაგობა (მაგალ. მუშა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა და სხვ.) სასაცილო სისულელე იქნებოდა. საზოგადოდ გაჩვენ ომის დროს მწერლობა არამთუ არ ქადაგობს შესახებ შინაგან ცხოვრებისა ახალ ქეშმარიტებებს, არამედ უწინ აღძრულ კითხვებსაც თავს ანებებს დროებით. მტრე ყოფილა ყოველთვის სხვა ქვეყნებში და ვგრე უნდა ყოფილიყო ჩვენშიც ვასრულ ომიანობის დროს.

ჩვენს მწერლობას ამ ომიანობის დროს ის კი მოეთხოვებოდა, რომ მას გნებ-მარტებინა ის კითხვები, რომელთაც ჰსძრავდა თვით ომი, მაგალითად: სლოვენების მდგომარეობა ოსმალეთის ქვეშ, იმავე ოსმალეთის ქვეშ ჩვენგან მოშორებულ ქართველების მდგომარეობა, რუსეთის როლი ამ საქმეში, ოსმალეთის პოლიტიკის ხასიათი მის ქვეშეწოდამ ხალხებთან და სხვა და სხვა. ეს მოთხოვნილება ცოტაოდნად შეასრულა „ნივერამ“ რამოდენიმე პოლიტიკურ სტატიებითა, რომელთაც უჩვენებს თვით უფ. ბ. თუმანიშვილი და გარდა ამისა უფ. პ. შიშკაშვილის ისტორიულ და ეტნოგრაფიულ სტატიებითა.

მაგრამ ამისთანა სტატიები ძლიერ ცოტა იყვნენ ომის დროს ჩვენს მწერ-

ლობაში და უმეტეს ნაწილად დრო-გამოშვებით გამოცემების ნომრები გა-სებულნი იყვნენ წერილმან ამბებით და უმნიშვნელო კორრესპონდენციებითა. **უფ. ზ. თუმანიშვილი** ფიქრობს, რომ ამის მიზეზი ის იყო, რომ მწერლობის მდგომარეობა სრულებით შეიცვალა და მწერლები კი იგივენი დარჩნენ; იმათ ვეღარ შესძლეს საზოგადოების წინამძღოლობა და ჩამორჩნენ უკანა და დაიწყეს ძველ აზრების ლეკვაო.

მე კი სხვაფერ ფიქრობ. მე მგონია, რომ ჩვენი მწერლობის ამგვარ უფე-რულობის მიზეზი ის კი არ იყო, რომ ჩვენში აღრე ქებულნი მწერლები თავიანთ ნაწე-ებში ამ სამი-ოთხიოდე წლის განმავლობაში მუდამ ძველ აზ-რებს ლეკდნენ, არამედ ის, რომ იგინი არა რას ჰსწორდნენ.

უფ. ზ. თუმანიშვილი ამისთანა საყ-ვედურს არ ეუბნება ამ მწერლებს. იგი ამათ ესაყვედურება მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო ხშირად თავიანთ ნაწერებ-ში ძველ აზრებს იმეორებდნენ და მხოლოდ იშვიათად და თითქმის უცა-ბედად გამოთქმდნენ ახალ ჭეშმარი-ტებებსო. ამის დასამტკიცებლად ჩვენს კრიტიკოსს მოჰყავს მაგალითები, რომ-ლითაც გვიჩვენებს, თუ რომელია ძვე-ლი აზრი და რომელი ახალი, თუ რომ-ლის გამოთქმა სასიკცხვილო ლეკვაა და რომლის—სახელოვანი წინასწარ-მეტყველება.

აი, უმთავრესად ამაში არ ვეთანხმები მე პატივცემულ ავტორს, რომელიც, ჩემის აზრით, შემცდარ გზაზე სდგას, რო-ცა იმის გარჩევაშია, თუ რომელი აზრი უნდა იქადაგოს მწერალმა და რომელი არა. **უფ. ზ. თუმანიშვილი**ს რომლისამე მწერლის აზრი აღარ მიაჩნია ახლად და გავრცელების ღირსად, თუ იგივე აზრი ვინმეს გამოუთქვამს აღრე. მაგალათად, ის ძლიერ აქებს და აღიღებს **ილ. ჭავ-ჭავაძის** „პოეტს“, რომელმაც „გვით-ხრა ახალი სიტყვა კაცთ-მოყვარეობით სახსე, მკებელი ძმობის და თანასწორო-ბისაო“. **თუმც** აკ. წერეთლის სტატია „სხვა-ად-სხვა-ერი“ ამავე აზრებს ქადაგობს, მაგრამ უფ. კრიტიკოსს ეს სტატია აღარ მოსწონს, რადგანაც ეს უკანასკნელი თხუთმეტის წლის შემდეგ არის დაწერილი.—ამისთანა წუნს მხო-ლოდ მაშინ ექნებოდა საფუძველი, რომ ზემოხსენებულ აზრებს ჰქონოდა დრო საზოგადოებაში გავრცელებისა და მარ-თლადაც გავრცელებულიყვნენ; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ეს არ მომხდარა. **თუ** სხვა ქვეყნებში, სადაც აზრების გავრ-ცელებისთვის ძალაც მეტი აქვს და ნიადაგიც უფრო მომზადებული, რომ-ლისამე აზრის ხალხში გავრცელებას უნდებოდა არა მარტო ერთი მწერალი, არამედ რამოდენიმე მოდგმა მწერლები-სა, ჩვენში როგორ კმარა ამავე მიზნის მისაღწევად ერთ პოეტის ორიოდ ლექსი?

უფ. ზ. თუმანიშვილის ერთს წამს რომ კიდევაც დავეთანხმობთ იმ პრინციპში, რომ მწერალმა უნდა იქადაგოს მხო-ლოდ ის აზრი, რომელსაც ახლობა ეტ-ყობა, მაშინ მაინც ვერ გავიგებთ, რის-

თვის აქებს იგი ვერე ბავრელის „არ-ტაანიდამ წერილს“? პეტარი ამ წერილით გვიჩვენებს, თუ რა ბოროტად შეუძლია მოხმაროს ჩინოენიკა მიყრუ-ებულ ადგილას თავისი უფლება და რა ძლიერი მტარვალა იგი ადგილობრივი ხალხისათვის. აბა, რა არის ამაში ახალი? რამელს დროს და რამელს ქვეყანაში არ ყოფილა ამისთანა მოვლენა? ბაიბს-სენოთ მარტო რომის იმპერიის პრო-კონსულები, სპარსეთის სატრაპები, სა-ფრანგეთის ინტენდანტები და ჩვენნი მღვანებეგები და სხვები.

უფ. ზ. თუმანიშვილიმა წინაგონო ამგვარი კითხვა და პასუხი დააზნადა. მართალია, ამბობს იგი, რომ ამ სტა-ტიაში არაფერი ახალი აზრი არ არისო, მაგრამ ახალი აზრი არც კი შეიძლება იქნესო; „ვერც ერთს ისეთ ახალ ჭე-შმარიტებას ვერ იტყვით თქვენ დღეში, რომელიც როდისმე არ თქმულიყოსო.“ პატივცემულ კრიტიკოსს ახლად ის ჭე-შმარიტება მიაჩნია, რომელიც გამოით-ქმის მხოლოდ ახალი სახით, ახალ სიტ-ყევით და „გამოხატვის ახალ-ფეროვან წაპლებით.“

საკვირველება რამეა სწორედ! **უფ. ზ. თუმანიშვილი**მა მოანდომა მთელი თავისი სტატია იმის გარჩევას, თუ რომე-ლია ახალი აზრი და რომელი ძველი; მაგალითად გვითხრა, რომ ძველ ქარ-თველების მამაცობაზე ლაპარაკი საჭი-რო არ არისო, რადგანაც იგი ძველს ჭეშმარიტებას შეარდგენსო; წინააღმდეგ ამისა მუშების მდგომარეობაზე კი უნდა ვიქადაგოთო, რადგანაც ეს აზრი ახალი არისო. ბოლოს კი, უკანასკნელ გვერ-დზე და უკანასკნელ სტრიქონებში იმა-ვე სტატიისა იგივე ავტორი გვიცხადებს, რომ აზრები ყველანი ძველი არიანო, მაგრამ ახალ აზრების მქადაგებელი იმ მწერალს დაეძახებო, რომელიც გამოს-თქვამს რომელსამე აზრს თავის სიტყვებ-ით, თავის ახალ კილოთი და „ახალ-ფეროვან წაპლებით“ შეკაზმულსო.

ამის შემდეგ საფიქრებელია, რომ **უფ. ზ. თუმანიშვილი** იმიტომ კი არ ესაყვე-დურებოდა ჩვენს მწერლებს, რომ იგი-ნი ყოველ დღე ახალ-ახალ აზრებს არ ქადაგობდნენ, არამედ იმიტომ, რომ იგინი გამოუცვლელად იმეორებდნენ თავიანთ ან ერთმანერთის ნაწერებს. **თუ** მართლა ამის გამოთქმა და დამტკიცე-ბა უნდოდა, მაშინ თავიდანვე ამ აზრის განმარტებას უნდა შესდგომოდა და სა-ბუთად უნდა მოეყვანა ჩვენის მწერლე-ბის ნაწერების ნიმუშები. ამ გზით ავ-ტორი, თუ ვერ დაითანხმებდა მკითხველს თავის აზრთან, ხომ მაინც დაანახებდა, რა აზრის დამტკიცება უნდოდა. მხლა კი მისის სტატიის ერთი ნაწილი მეო-რეს ეწინააღმდეგება და ბოლოს ვეღარ გავიგებია, თუ რისი დამტკიცება უნდო-და ავტორს.

უფ. ზ. თუმანიშვილის აზრით, **ილ. ჭავჭავაძის** „ღიმიტრი თავედად-ებულა“ და აკ. წერეთლის „სხვა და-ერი“ არ ვარგიან, იმიტომ რომ იგინი ქადაგობენ „მამულის სიყვარულს“, „თავისუფლებას“, „ძმობას“ და „თანას-

წორობას“, რომელნიც მას ძველ ჭეშ-მარიტებათ მიაჩნია, რადგანაც მათ აზრ-აგანი გამოუთქვამს აღრე მწერალს, ზოგი კი ან საზოგადოებაში კი სწერია და ან ანბანშიო.

არა, ბატონო ჩემო, ვერე უნდა სჯი-დეს მხოლოდ მოდების გამოდგონი და არა მწერალი, რომელსაც ემის თავისი მოვალოება და უნდა სვინილისიანად შესრულოს იგი. სვინილისიანმა ჩვენე-ბურმა მწერალმა უნდა იქადაგოს ის აზრები, რომელთაც მოკლებულია ჩვენ-ში თითოეულად კაცი და ერთიანად საზოგადოება; ის აზრები, ურომლო-თაც კაცი არ არის სრულის კაცურ ღირ-სებით შემკული და საზოგადოება თავის ცხოვრებით წარმოგვიდგენს სამწუხარო სურათს. ისიც უნდა ვსთქვათ ხოლმე, რომ ყოველი აზრი ჩვენთვის ახალია თუ რომ ჩვენ ის არ შეგვითვისებია და ჩვენს კანონად არ გაგვიხდია. ამ შეთვი-სებამ იმ ხარისხამდი უნდა მიაწიოს, როცა ყოველი კაცი მითვისებულ აზრს უყურებს, როგორც უძვირფასეს თავის საკუთრებას, როგორც თავის სიცოც-ხლეს და სულს; როცა მითვისებულ აზრის დათრგუნვის სურვილი და მეცა-დინეობა ვისიმე მხრით ააღელვებს ყო-ველ კაცის სვინილისს და მდელს საზო-გადოებას ფეხზე დააყენებს როგორც ერთს კაცს.

ჩვენდა საუბედუროდ ის აზრები, რომელნიც **უფ. ზ. თუმანიშვილი**ს ძველე-ბათ მიაჩნია, არ არიან იმ ხარისხამდე გავრცელებულნი და გაგებულნი, რა ხარისხამდე მათი გავრცელება ჩვენში უნდა ისურვოს ყოველმა მწერალმა, რომელიც არ სჯერდება გათენებისას მამალსავით ყვილს, არამედ თავის ვა-ლად ჰრაცხს, რომ თავის მოცადინეო-ბით როგორმე გათენებაც დააჩქაროს.

ღარწმუნებული იყავით, რომ რა დღესაც ეს აზრები მკვიდრად დამყარდე-ბა ჩვენში, იმ დღესვე ჩვენი მდგომარეო-ბა და ცხოვრება სრულებით შეიცვლე-ბა. ამაში არ დაგვეთანხმება ჩვენ მხო-ლოდ ის, ვინც არ ეწმუნება არავითარ აზრს და ვისაც არ სჯერა, რომ საზო-გადოების ცხოვრებაში მკვიდრად დამ-ყარებული აზრი შეარდგენს ისეთს ძა-ლას, რომელსაც ვერ შეედრება ვერა-ფერი სხვა ძალა.

უფ. ზ. თუმანიშვილი რომ ვერე თავი-კილობს ზემოხსენებულ აზრებს, ამის მიზეზი ჩემის ფიქრით ის არის, რომ პატივცემულ კრიტიკოსს თავის მრწამ-სად მიუღია იმ რუსის მწერლების თხზუ-ლებანი, რომელთაც იგი ხშირად ახსენ-ებს თავის ახალ წიგნში. მას არ მოს-წონს, რომ ჩვენმა მწერლებმა არ შესწი-რეს თავისი შრომა მხოლოდ რუსის მწერლების აზრების ჩვენში გამდოცემა და მოჰყვენ იმისთანა აზრების ქადაგო-ბას, რომელთაც რუსეთში მართლაც არ ექნებოდა მნიშვნელობა და ამიტო-მაც ახალ რუსის მწერლებს იგინი არ უქადაგნათ.

მაგრამ რად დაივიწყა **უფ. ზ. თუმა-ნიშვილი**მა, რომ რაც იმ მწერლებს გამ-ზადებული და აშენებული დახვდათ,

ჰქონდათ და დასტოვეს, ის ჩვენ დამბობილი და დანგრეული დაგვხვდა, გვაქვს, მაგრამ არ უნდა გვიქონდეს! ამიტომაც ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს, თუ ჩვენნი მწერლები თავიანთ ნაწერებით ავრცელებენ იმ აზრებს, რომელთაც რუსის მწერლები არ ეხებებიან.

მა მინდოდა მეთქვა უფ. ბ. თუშანიშვილისთვის და ამით ვაბოლოოებ ამ წერილს. თუმცა უფ. ბ. თუშანიშვილი, ჩემის ფიქრით, დიდად შემცდარია მამინაც, როცა ამბობს, რომ ლიბერტი თავდადებული მოქმედება არ არის გმირობა, რომ ძველ და დამკვიდრ ამბების (როგორც ავტორი ეძახის იტორ ულ, ეტნოგრაფიულ და სამეცნიერო სტატიებს) ბეჭდვა დალუპავსო ჟურნალს, მაგრამ ამ აზრების შეცდომილება და უსაფუძვლობა არ თხოულობს განმარტებას და დამტკიცებას.

მაჭახელიძე.

დღიური

* ჩვენ შევიტყუეთ, რომ, რადგან ბითუმის მხრისაკენ ჩვენსა და მსმალეთს შუა სამზღვრების უქონველობისაგან მუდამ უწყობა ხდება, ამის გამო ბითუმის სამხედრო მაზრის ლუბერნატორი ლენ. პომაროვი წასულა სამზღვარზედ, სადაც უნდა მოვიდეს აგრეთვე ტრაპიზონის დენერალ-ლუბერნატორი და ამით ერთად უნდა მოილაპარაკონ ამ მხრისაკენ ღროებით სამზღვრების დაწესებაზედ.

* პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ ღვეით ჩქოტუას საქმეს ამ თებერვლის 16-ს გაარჩევენ სენატში. ბრალდებულის დამცველად სენატშიაც უფ. სპასოვიჩი იქნება.

* ჩვენ გვატყობინებენ, რომ იმ ურიების საქმე, რომელთაც ბრალდებით ქრისტიანი ქალის ვითომ-მოტაცება და ვითომ-წვალება შორაპნის უფზდში, ამ თებერვლის დამლევს იქნება განხილული მუთაისის ოლქის სასამართლოში. ბამოძიებითა და პროკურორის გამამტყუენებელი აქტით იმათ ბრალდებით ეს დანაშაული.

ამბობენ, ვითომც ურიებს სპასოვიჩისა და ბერარდისათვის ეთხოვრათ იმათი საქმის დაცვა, მაგრამ ორთავეს უარი გამოეცხადებინოსთ პეტერბურღიდან მოსვლა.

ამბობენ აგრეთვე, რომ მუთაისის აღვოკატები დიდს ფაცა-ფუცში არიანო, ყველას უნდა, რომ ეს საქმე ჩაიგდოს ხელშიო, რადგან გემრიელ ლუქმათ მიანჩიათ, ღირსეულად დაჯილდოვებას მოელოიანო...

* ბაზეთი „ქავკანი“ გვაცნობებს, რომ ქავკასიის სამსწავლეებლო მაზრის აღრინდელ მზრუნველს უფ. ი. მ. ნევეროვს ერთის ქალაქელის ნოტარიუსისათვის დაუტოვებია ანდერძი, რომლითაც ოცი ათას მანეთს სწირავს ის ქავკასიისა და თავის სამშობლო ნიჭეგოროდის გუბერნიის სახალხო შკოლებსა და სტიპენდიებისათვის.

* შოთიღამ იწერებიან ამავე გაზეთში, რომ თებერვლის 2-ს იქურს მღედღს მ. მაჭაროვს უქურთხებია ახალი სამეგრელოს საქალაქო საწავლებელი და ამ ღროს იქ დაწერებიან, სხვათა შორის, მუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორი უფ. მარსოვი და ქალაქის შოთის წარმომადგენელი. შუ. მარსოვს გამოუთქვამს აზრი საქალხო შკოლის საქაროებაზედ შოთში და უთხოვნია მცხოვრებლებსათვის შემწეობა.

შოთის დოქტორს უფ. ჟურინოვს გამოუცხადებია, რომ ის მუქთად უთქმებს ახლად დაარსებულ სასწავლებლის ავთამყოფ მაგირდებს.

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავღანი

მრთს ლონდონის გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ღვეუმა 1 თებერვალს გაგზენილი ტაშკენტიდან:

„ავღანის მიმრისაგან გამოგზენილი ელჩები 5 თებერვალს მოვლენ სამარკანდში და 8-ა აქ, ტაშკენტში, მოელიან. ამ ელჩებს მინიჭებული აქვთ მიმრისაგან დიდი უფლება; სხვათა შორის ამათ უნდა გამოუცხადონ ღენ. რაზგონოვს, რომ მიმრის ყველაფერში დემორჩილება რუსეთის იმპერატორის რჩევას და ინგლისთან მორიგებაზე მოლაპარაკებას არ დაიწყებს.“

— ამავე გაზეთის სიტყვით, იაკუბხანი ჯერ კიდევ არ კარგავს იმედს, რომ ბოლოს ინგლისელები იძულებული იქნებიან მიატოვონ ავღანი და ისევ ინდოეთში დაბრუნონ თავის ჯარები. ინგლისელები ბლომათ ურიგებენ ფულებს აქაურ მთიულებსაო, უნდათ იმათი მოსყიდვაო, მაგრამ ამათ ფულები კი მიაქვთ, და მტრობას კი არ უმლიანო.

— სტამბოლიდან მიღებული ტელეგრამა გვაცნობებს, რომ მარტის დამლევს ინგლისის ფლოტი ბეზაიის ნავსადგურში წავაო; მარმარილოს ზღვაში კი დარჩება მხოლოთ ერთი სამხედრო ნომალდიო.

საზრანგეთი

ბელგიურს გაზეთს „ბელგიის თავისუფლებაში“ მოყვანილია სია იმ კორპუსის სარდლებისა, რომლის გამოცვლის თაობაზედაც მარშალმა მაკ-მაჰონმა მიატოვა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა. ახალ პრეზიდენტმა ბრევიმ გამოცვალა ყველა ეს დენერლები, რომელნიც ბონაპარტიულ და კლერიკალურ პარტიას ეკუთვნიან; ესენი არიან: ბურბაკი, მონტოდონ, ბატალ, ბარაილ და ლარტიგ. ამათ ადგილას მთავრობას დაუნიშნავს შემდეგი რესპუბლიკელი დენერლები: ლეჩებრი, მარტრე-ბრეკურ, ოლმან, შმიც და ბალიჭე.

— მოგვხსენებთ, რომ ახალმა სამინისტრომ შეიტანა ნაციონალურს პრეზაში წინადადება, რომლის ძალითაც უნდა სრული პატიობა გამოუცხადონ

იმ პოლიტიკურ დამნაშაეებს, რომელთაც 1871 წლის ძომურის დროებში მიიღეს მონაწილეობა. ვერცხვანაშეთებში იწერებიან ახლა, პარიზის გაზეთებში, რომ ამ დაბრუნებულ კომუნარებისთვის დღესასწაულობა გამართოს. პარიზის ქალაქის რჩევას (მუნიციპალურ რჩევა) გადაუწყვეტია, რომ ამ დაბრუნებულ პოლიტიკურ დამნაშაეების დასახვედრად ასი ათასი ფრანკი გადაღვას.

ოსმალეთი

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია სტამბოლიდან მიღებული ღვეუმა, რომელიც გვატყობინებს, რომ რუსის ჯარები თებერვლის 12-ს დაიწყებენ ო. მალეთიდან გამოსვლას და აღმოსავლეთის რუმელიაში კი დარჩება მხოლოთ 50,000 რუსის ჯარი, რომელთ სარდლებად იქნებიან ღენ. სკობელევი და სტოლიპინი. გამოვლენ თუ არა აღრიანოპოლიდამ რუსის ჯარები, იმწამსვე ამ ქალაქსა და საზოგადოთ ყველა ადგილებს ოსმალის ჯარები დაიჭრენ.

— ბაზეთის „თაიმის“ სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ოსმალეთის მთავრობამ, მეროპის სახელმწიფოების რჩევით, გადაწყვიტაო, რომ როგორც იქნება მოურიგდეს საბერძნეთს და ამ ნაირად შეასრულოს ბერლინის ტრაქტატის მოთხოვნილებაო.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთის მეთორმეტე ნომრის „ღიურში“, სხვათა შორის, წავიკითხეთ თქვენი დიან საფუძვლიანი და მოსაწონი სურვილი რომ რუსეთის თუ სამზღვარ გარეთ სხვადასხვა მაღალ სასწავლებლებში მყოფ სტუდენტებმა შეგატყობინოთ ჩვენი გარემოება...

ბიცხადებთ ჩვენს უგულითადესს მაღლობას, რომ ასრეყურს უგდებთ ჩვენს ახლოგაზდობას და, შეიტყობთ თუ არა რომელიმე ჩვენთაგანის სამზღვარ გარეთის ან რუსეთის რომელიმე ქალაქში ყოფნას, უფასოთ უგზავნით მათ თქვენის გაზეთის ნომრებს, აძლევეთ სულიერს საზრდოს სამშობლო ენაზე და ამითი მათ, განშორებულებს, არ უკარგავთ კავშირს სამშობლო-მამულთან, რომლის სამსახურისათვის ისინი ემზადებიან.

ჩვენ ვადგენებდით, რამოდენათაც შეიძლებოდა, თვალ-ყურს ჩვენს ლიტერატურას და ვხედავით, როგორ სწდებოდენ ჩვენი გაზეთები და ჟურნალები და მალე კვდებოდენ; მაგრამ თქვენ ამ შავ-ბედის მორიგეში დარჩით ცოცხალი და შეუღალავათ მიგაქვსთ შრომისა და პატიოსნობის ღრომა, რომელიც გსურსთ გადასცეთ მომავალს თაობას. რა საკვირველია, გაზეთის ყველა მოვალეობის და მოთხოვნილებების ასრულება ლიტერატურის სიყმაწვილეში და მეტადრე იმ გარემოებებში, როგორშიაც იყვენ და არიან დაყენებულნი ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, ადვი-



ლი არ არის, და ამის გამო ხანდისხან თქვენ სტოვებდით თქვენს გულითადს მიმართულებას თქვენ-და უნებლიე, უხვევლად თქვენს ნამდვილს გზას; მაგრამ უკანასკნელ თქვენ მაინც გამოხვედით იმ წმინდა გზაზე, რომელიც შეძლებისადაგვარად, მიიყვანს ჩვენს საზოგადოებას იმ პროგრესის წერტილზე, რომელიც ყველა მანულის-შვილისათვის სასურველია. ამას გვიმტკიცებს ჩვენ ამ დროინდელი სიკები თქვენი მიმართულება, გამოხატული გასრულის თვის „დროების“ რამოდენიმე ნომრების მოწინავე სტატიებში.

შალა მოგვეცით ნება, შევასრულოთ თქვენი სურვილი, გამოთქმული, როგორც ზემოთა ვსთქვით, თქვენს გაზეთის ამ წლის მეთორმეტე ნომერში:

ქართველები მოსკოვის უნივერსიტეტში წართ სამნი: შევარდნაძე, შლიავა—ორნივე მედიკურ ფაკულტეტზე და ორნივე სტიპენდიატები,—და მედეანოვი—მატემატიკურ ფაკულტეტზე, თავისის ხარჯით. ნამეტან გაჭირვებულ მდგომარეობაში არცერთნი არა ვართ, თუმცა ოც-და-ხუთ მანეთიანი სტიპენდია, როგორც გამოვსთქვით ჩვენს თხოვნაში ნამესტიკთან, არ ჰყოფნის სტუდენტს, მეტადრე სტუდენტს მედიკური ფაკულტეტისას, რომელსაც ბევრი საექიმო იარაღები და წიგნები სჭირია და თან, მუდმივ პრაქტიკულ და ტეორეტიკულ მეცადინეობისა გამო, არა აქვს დრო, გაკვეთილები მისცეს და შეამსუბუქოს თავისი გაჭირვებული მდგომარეობა.

ღეშთებით თქვენი გულითადი მადლობელი და პატივისმცემელი.

ბრიგორი შლიავა
ლუარსაბ მედეანოვი
სერგეი შევარდნაძე

განცხადებანი

ქუთაისში

ქ. მესხის წიგნის პალატიური

იხილება შემდეგი წიგნები:

- 1) სიტყვანი და მოკლვარები — თქმულნი იპერეთის ეპისკოპოსის ვაბრიელის მიერ. შასი 1 მან. და 50 კ.
- 2) იგივე, უკეთესს ქალაღზე დაბეჭდილი. შასი 2 მან.
- 3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართულთათვის. (Практический начальный курс рус. языка для грузин) — შედგენილი ზ. ქ. — შიგლის მიერ. შასი—60 კაპ. შინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ვგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეკად.
- 4) დედა ანა—ი. ზოგებაშვილისაგან, 30 კ.
- 5) სიზაძნე სიცრუის წიგნი. შასი — — — — — 50 კაპ.
- 6) ბუნების კარი—ი. ზოგებაშვილისაგან — — — — — 70 კაპ.
- 7) პატარა ბიბლიოთეკა—იმიხვე — — — — — 10 —
- 8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — — — 20 —
- 9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ქრისტისა — — — — — 15 —
- 10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — — 30 —
- 11) არანაპა, პოემა ზ. წერეთლისა — — — — — 20 —
- 12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —
- 13) უარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი — — — — — 30 კ. და 40 კაპ.
- 14) რძალი მული და მაშენიკები — კომ. თუთაივისა — — — — — 30 —
- 15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — 25 —
17) „ბუთიაოვა“ ვოდეგმოლი — 25 —
კისა — — — — — 20 —

18) „პაი ზქუისაგან“ კომედია გრიბოდოვისა, ნათარგმნი ზ. წინამძღვროვისაგან — — — — — 40 —

19) სოლომონ ისაიის მთავარ-წუაშილი — — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები— 20 —
21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე იხილება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რეფულები, კარანდაშები, მელანი, ქალაღი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო. ზოგლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაქლავ შასათ. მალაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, ქლუბის ქვეშ.

უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. ქ. მესხის მალაზიაში იხილება

„პაი ზქუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად ზ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ზრ. ა. წინამძღვროვის-მიერ.

შასი—ორი აბაზი (3—2)

გამოვიდა და იხილება

„ბუთიაოვა“

ვოდეგმოლი

აქაპი წარმთლისა

იხილება: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შევერდოვის ბაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. ქ. მესხის წიგნის მალაზიაში.

შასი—ერთი აბაზი. (5—2)

რბ. გზა.	დღა.	ს.ღაძ.	II კ.	III კ.	ბელგრაფი	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამაჟრნალო.
თფილისი . . .	9 21	18 18	კაპ. 8.	კაპ. 8.	მ. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 13 თებერვა.		მრევნს მედანზე, წინამძღვროვის სახლებში.
მცხეთა . . .	10 11	6 27	68	38	ქაქელიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	ფე. თფ. ბანჯიხა, ფთ.	160	სვათმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი . . .	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, მდგანს, მოსკოვს	2	ჭერი ფუთი	120	მ. რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და ბა- ლაღვიანი—შინაგ. ავთ., ქიუნა- რიანც—საჯარო ექიმი და საშვი- ლოლს ოპერაციები.
ხაშური . . .	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურს, ვარშავას	2	ბაშბა შრეისა, ფუთი	750	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
სლოპი . . .	1 44	4 42	2 46		მსმალცოშ, შვეიც. რიაში	3	— პერეკია, ფუთი	860	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშევი ში- ნაგანი.
შვილილი . . .	5 49	5 81	3 23		იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაპენტალი ბაშბა ფუთი	950	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
რიონი . . .	6 51	6 75	3 75		ინგლისში	3 75	მეტყლი თუშური ფუთი	670	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშევი ში- ნაგანი.
სამტრედია . . .	7 51	7 73	4 29		ფოჩტა		— მარკამისა ფუთი	450	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
ახალ-სენაკი . . .	8 43	8 57	4 76		ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. ხურ.—პარასკე და ორშ. ქახეთს—ს. შ. შ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ხურ.—გვებს—ორშ. და პარასკე.		— აბრეშუმი ნუხური სტ. შონი, ფუთი	210	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
შოთი . . .	9 50	9 75	5 42		წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ. და სამზღვარ გარეთ;		შონის სანთელი ფუთი	540	მ. თ ხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშევი ში- ნაგანი.
შოთი . . .	9 3				ლია წიგნის		სტეარინის სანთელი ფთ.	1265	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
ახალ-სენაკი	10 14		1 18	6	და კლიდის (ხამი მისხალი)	8	ქონი, ფუთი	540	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი ში- ნაგანი.
სამტრედია	11 5		2 6	14			ქონის სანთელი ფუთი	740	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
რიონი . . .	12 13		3	169			სტეარინის სანთელი ფთ.	1265	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
შვილილი . . .	1 18	ლაშე.	3 98	2 21			— ცხვრისა, ლიტა	1 8	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
სლოპი . . .	5 12	1 10	5 33	2 96			საპირტი ვედრო	4 60	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
ხაშური . . .	5 39	1 37	5 84	3 24			შეპარი, შროც. ფუთი	7 20	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
ზორი . . .	7 5	4 8	7 36	4 9			— ფხვნილი ფუთი	5 40	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
მცხეთა . . .	8 50	6 59	9 8	5 4			ქავა გრვალთ, გარე	70	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
თფილისი . . .	9 31	7 56	9 75	5 42			ხეთი ქუნუჯუთისა ფუთი	12 40	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.
							თამბაქო, საშუალო ფთ.	6 70	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბებიო და ბაე- შვის, პუნოვო—თვალის.